

7. აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება @აფხაზეთის ასსრ მთელ ტერიტორიაზე მოქალაქეთა ქცევის საგანგებო წესების შემოღების შესახებ@ აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

@საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმის შესახებ@ აფხაზეთის რესპუბლიკის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის და მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადგენს:

1. @აფხაზეთის ასსრ მთელ ტერიტორიაზე მოქალაქეთა ქცევის საგანგებო წესების შემოღების შესახებ@ აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

@აიკრძალოს მიტინგების, დემონსტრაციების, ქუჩის მსვლელობების და სხვა ღონისძიებების ჩატარება, რომელთაც შეუძლიათ ვითარების დესტაბილიზაცია@.

2. ზემოხსენებული დადგენილების მეორე ნაწილის მე-4 პუნქტის პირველი ქვეპუნქტი - ამოღებულ იქნეს.

3. დადგენილების მეორე ნაწილის მე-5 პუნქტის მეექვსე ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

@მიტინგების, დემონსტრაციების, ქუჩის მსვლელობების ორგანიზატორთა მიმართ გამოყენებულ იქნეს ჯარიმა 5 000 მანეთის ოდენობით, სასამართლო წესით გადახდევინებით;

განმეორებითი დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 მანეთის ოდენობით@.

4. ეს დადგენილება ძალაში შედის მიღების დღიდან.

აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბა

ქალ. სოხუმი, 10 აპრილი 1992 წელი.

(შემდგენლის პირადი არქივიდან. საკუთარი თარგმანი)